

საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი ადგენს ქალისა და მამაკაცის კონსტიტუციით განსაზღვრული თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად მიმართულებებსა და გარანტიებს, განსაზღვრავს მათი განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებს და პირობებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ადგენს გენდერული თანასწორობის დარღვევისათვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს.

მუხლი 2. კანონის მიზნები

კანონის მიზანია უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გენდერული თანასწორობის მიღწევა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს სქესის ნიშნით ყოველგვარი დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას.

მუხლი 3. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1. ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) გენდერი – სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ

შეხედულებებს ქცევისადმი დამოკიდებულებების, პიროვნულ თვისებების, ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობების შესახებ.

ბ) გენდერული თანასწორობა – ადამიანის უფლებათა ნაწილი, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანაბარ უფლებამოვალეობებს, პასუხისმგებლობასა და თანასწორ მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

გ) დისკრიმინაცია – სქესის ნიშნით ნებისმიერი განსხვავება, გამიჯვნა ან/და შეზღუდვა, რაც გამოხატულია უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განსხვავებული აღიარებით, შესაძლებლობების არათანაბარი წარმოჩენით, შესუსტებით ან სრული უარყოფით და ხორციელდება პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაციის ფორმით.

დ) პირდაპირი დისკრიმინაცია – ნორმატიული აქტის, პროგრამის თუ სხვა საჯარო პოლიტიკის საფუძველზე პირის სქესის ნიშნით დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენება.

ე) ირიბი დისკრიმინაცია – ნორმატიული აქტი, პროგრამა თუ სხვა საჯარო პოლიტიკა პირდაპირ არ მიუთითებს დისკრიმინაციაზე, მაგრამ მისი განხორციელება დაკავშირებულია დისკრიმინაციული შედეგის დადგომასთან.

ვ) თანასწორი შესაძლებლობები – ქალისა და მამაკაცის უფლებებისა და თავისუფლებების რეალური თანასწორობის მიღწევის საშუალებებისა და პირობების სისტემა.

ზ) გენდერული მეინსტრიმინგი – საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვა და გატარება.

თ) თანასწორი მოპყრობა – სამსახურში მიღებისას, დაწინაურებისას, პროფესიული სწავლებისას, შრომისა და სოციალური პირობების დადგენისას, საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებისა და საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებში ორივე სქესის პირთა თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების დადგენა და აღიარება, სქესის ნიშნით პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის დაუშვებლობა.

ი) დროებითი სპეციალური ზომები – დროებით ღონისძიებათა ერთობლიობა, აუცილებელი სტრუქტურული, სოციალური და კულტურული ცვლილებები, რომელიც მიმართულია გენდერული თანასწორობის მიღწევის დაჩქარებისკენ, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმისა და ზეგავლენის გამოსწორებისათვის.

2. ამ კანონში გამოყენებული სხვა ტერმინები, თუ არ არის სპეციალური მითითება გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობით.

მუხლი 4. სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების სფეროში

1. ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

ა) სქესთა თანასწორობის უზრუნველყოფისა და შესაბამისი უფლებების ეფექტიანი რეალიზაციისათვის სამართლებრივი ბაზის სრულყოფა;

ბ) სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების ნორმატიული აქტების პროექტების ექსპერტიზის განხორციელება გენდერული თანასწორობის დაცვისა და უზრუნველყოფის მიზნით;

გ) სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისას გენდერული თანასწორობის (მეინსტრიმინგის) პრინციპის გატარება;

დ) გენდერული თანასწორობისაკენ მიმართული სპეციალური პროგრამებისა და ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

ე) სქესის ნიშნით მოქალაქეთა დისკრიმინაციისკენ მიმართული ყველა სახის ინფორმაციის გავრცელებისგან საზოგადოების დაცვა;

ვ) ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარება გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით;

ზ) სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისას გენდერული თანასწორობის პრინციპისა და მისი რეალიზაციისათვის აუცილებელი ღონისძიებების გათვალისწინება;

თ) მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისკენ, ასევე სოციალური სფეროს განვითარებისაკენ მიმართულ სახელმწიფო პროგრამებში გენდერული თანასწორობის უზრუნველმყოფი ღონისძიებების ჩართვა;

ი) ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ეფექტიანი თანამშრომლობისა და პარტნიორობის სისტემის ჩამოყალიბება.

2. დისკრიმინაციად არ განიხილება სქესობრივი თავისებურებების გათვალისწინებით განხორციელებული ღონისძიებები, მათ შორის ორსული ქალის შრომისა და დედობის დაცვისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა.

მუხლი 5. გენდერული თანასწორობის სფეროში სტატისტიკა და მონიტორინგი

1. გენდერული თანასწორობის საკითხებში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა რეალიზაციის, სახელმწიფო მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებისა და აღნიშნულ სფეროში საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ეფექტური მონიტორინგის მიზნით სახელმწიფო უზრუნველყოფს ანგარიშგებისა და მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას.

2. გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფო სტატისტიკურ ანგარიშებში შეიტანება სქესის ნიშნით განცალკევებული მონაცემები (მაჩვენებლები და შესაბამისი ინდიკატორები).

3. უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით შეგროვილი და დამუშავებული ინფორმაცია, მათი შემდგომი სისტემატიზაციის უზრუნველსაყოფად გადაეცემა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს.

4. გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით არსებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავების საფუძველზე მიღებული შედეგები გაითვალისწინება აღნიშნულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისას და განხორციელებისას.

თავი II. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიები

მუხლი 6. გენდერული თანასწორობის სახელმწიფო გარანტიები

1. სახელმწიფო ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის თანასწორ მონაწილეობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების პროცესებში.

2. გენდერული თანასწორობის მისაღწევად სახელმწიფოს მიერ ხორციელდება ღონისძიებები, რომელთა მიზანია უზრუნველყოს:

ა) ქალისა და მამაკაცის ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების აღიარება და დაცვა;

ბ) განათლების მიღებაზე ხელმისაწვდომობა და განათლების თავისუფალი არჩევანი სწავლების ყველა ეტაპზე;

გ) მეუღლეთა უფლებრივი თანასწორობა და მათი რეალიზაციისათვის სათანადო სამართლებრივი პირობების შექმნა;

დ) შვილებთან დაკავშირებული თანაბარი უფლებების და მოვალეობების აღიარება და მათი რეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა;

ე) ოჯახსა და საზოგადოებაში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა;

ვ) ხელმისაწვდომობა ყველა პროფესიაზე, პროფესიულ წინსვლასა და თანაბარი შრომის პირობებში თანაბარ შრომის ანაზღაურებაზე;

ზ) საჯარო სამსახურში ყველა დონის თანამდებობის დაკავება პროფესიული ნიშნის, უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;

თ) პიროვნების ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობა და პირობების შექმნა დასაქმებისა და თვითრეალიზაციისათვის;

ი) ინფორმაციაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა და სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმოება;

კ) გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 7. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა შრომითი ურთიერთობებისას

1. დასაქმებისა და შრომითი მოვალეობების შესრულებისას დაუშვებელია სქესის ნიშნით ქალისა და მამაკაცის რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა ან/და დისკრიმინაცია.

2. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით დამსაქმებელი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) შრომითი საქმიანობის განხორციელებისას ქალისა და მამაკაცის თანასწორობას;

ბ) თანაბარი კვალიფიკაციის შემთხვევაში ვაკანტური სამუშაო ადგილების დაკავებისას სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა;

გ) ქალისა და მამაკაცისათვის თანაბარი სამუშაოს შესრულების პირობებში თანაბარი ანაზღაურება;

დ) კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადების, სამსახურში დაწინაურებისას თანასწორი მოპყრობა და თანასწორი შესაძლებლობების შექმნა;

ე) შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შექმნა, ქალისა და მამაკაცის დაცვა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მძიმე, მავნე და საშიში სამუშაო პირობებისაგან, საჭიროების შემთხვევაში მათი სპეციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის სათანადო გარემო პირობების შექმნა.

3. სახელმწიფო ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს ორსული ქალებისა და მეძუძური დედებისათვის შრომის ხელსაყრელი პირობების შექმნა, რაც გამორიცხავს მათ საქმიანობას მძიმე, მავნე და ჯანმრთელობისათვის საშიშპირობებიან გარემოში.

4. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელები ვალდებული არიან უზრუნველყონ საჯარო სამსახურში ორივე სქესის მოქალაქეთა თანასწორი ხელმისაწვდომობა, მათი შესაძლებლობებისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად.

5. უზრუნველყოფილია ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობა საჯარო სამსახურის განხორციელებისას. საჯარო სამსახურში თანამდებობის პირთა შერჩევისას დაცული უნდა იქნეს სქესობრივი თანასწორობის პრინციპი, რაც გულისხმობს შესაბამის თანამდებობათა გენდერული თანასწორობის ნიშნით დაკომპლექტების ვალდებულებას.

6. საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო უზრუნველყოფს დროებითი სპეციალური ზომების შემოღებას, ქალისა და მამაკაცის თანასწორი მონაწილეობის, თანასწორი მოპყრობისა და თანაბარი შესაძლებლობების რეალიზაციისათვის სახელმწიფო დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების დაწესებულებების სამუშაო ადგილებზე.

მუხლი 8. შრომითი ურთიერთობისას გენდერული ნიშნით ნებისმიერი ფორმის იძულების დაუშვებლობა

1. შრომითი ურთიერთობებისას დაუშვებელია გენდერული ნიშნით პირის ნებისმიერი ფორმის პირდაპირი ან არაპირდაპირი შევიწროება, დევნა ან/და იძულება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

2. შრომითი ურთიერთობებისას დაუშვებელია პირის მიმართ ნებისმიერი ფორმის სიტყვიერი, არასიტყვიერი, ფიზიკური ან/და სექსუალური ხასიათის ქცევა, რომლის მიზანია ან რომლის შედეგადაც ილახება ადამიანის ღირსება, ან მის მიმართ იქმნება დამამცირებელი, მტრული ან შეურაცხმყოფელი გარემო.

მუხლი 9. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სახელმწიფო გარანტიები განათლებისა და მეცნიერების სფეროში

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს:

ა) ქალისა და მამაკაცის მიერ ყველა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი განათლების მიღებაში თანასწორი პირობების შექმნას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესის განხორციელებაში მონაწილეობის ჩათვლით;

ბ) სასწავლო პროგრამებიდან და სახელმძღვანელოებიდან გენდერული თავისებურებების შემცველი ისეთი ინფორმაციის ამოღებას, რომელიც მიმართულია სქესობრივი დისკრიმინაციისაკენ;

2. ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება ასევე ყველა სახის სასწავლო დაწესებულებებში განათლების მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესზე.

მუხლი 10. სოციალურ-ეკონომიკური და საინფორმაციო რესურსებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები, ვალდებული არიან, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყონ მათთან არსებულ და დაცულ რესურსებზე, მათ შორის საინფორმაციო რესურსებზე, ქალისა და მამაკაცის თანაბარი ხელმისაწვდომობა სქესის ნიშნით განსხვავებულობის მიუხედავად.

მუხლი 11. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში

სახელმწიფო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს:

ა) ჯანმრთელობის დაცვას, სამედიცინო მომსახურებას, სოციალურ დაზღვევას სქესის მიუხედავად;

ბ) დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ფუნქციონირებას, ქალთა კონსულტაციების, სამშობიარო სახლების, ორსული ქალებისა და დედებისათვის ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებების მეშვეობით;

გ) ოჯახის დაგეგმარების ხელშეწყობას და ქალთა რეპროდუქციული უფლებების დაცვას;

დ) მრავალშვილიანი და მარტოხელა მშობლების გამოვლენასა და მათი დაცვის, დახმარებისა და სტიმულირებისათვის სათანადო პირობების შექმნასა და რეალიზაციას.

მუხლი 12. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა საოჯახო ურთიერთობებში

1. საოჯახო ურთიერთობებში ქალი და მამაკაცი სარგებლობს თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები. საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება სქესის ნიშნით უფლება-მოვალეობათა პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება.

2. ოჯახში ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლება აქვთ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ შრომით და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის საკითხი.

3. შვილების აღზრდისა და ოჯახის სხვა საკითხებს მეუღლეები ერთად, ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ. გარანტირებული და უზრუნველყოფილია მეუღლეთა მიერ საქმიანობისა და ბავშვთა აღზრდის თანასწორად შეთავსების შესაძლებლობები.

4. ოჯახში მეუღლეთა მიერ გაწეულ შრომასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები თანასწორია.

მუხლი 13. თანასწორი საარჩევნო უფლებების გარანტიები

1. პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაციისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ორივე სქესის წარმომადგენელთა

თანასწორი მონაწილეობა და შეიქმნას პირობები აღნიშნული თანასწორობის რეალური განხორციელებისათვის.

2. საარჩევნო სუბიექტების მიერ კანდიდატთა სიების მომზადებისას დაცული უნდა იქნეს სქესობრივი თანასწორობა, ასევე საარჩევნო სუბიექტების ხელმძღვანელ, აღმასრულებელ, მაკონტროლებელ და სხვა ორგანოებში თანასწორი წარმომადგენლობა.

3. მოქმედი კანონმდებლობით დგინდება ის სპეციალური ღონისძიებები, რომელიც მიმართულია საარჩევნო პროცესში სქესობრივი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და აღნიშნული პროცესის წახალისებისათვის.

4. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, იმ საარჩევნო სუბიექტებს რომელთაც თანაბარი რაოდენობის ქალი და მამაკაცი კანდიდატები ჰყავთ, საარჩევნო სიის პირველ 75 კანდიდატთა შორის მიეცემათ დამატებითი უფასო სარეკლამო საეთერო დრო საზოგადოებრივ მაუწყებელზე, უკვე განსაზღვრული დროის $\frac{1}{4}$ -ის ხანგრძლივობით.

5. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული სახელმწიფო დაფინანსებას სრული 100%-ით მიიღებენ ის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები, რომელთა საკანონმდებლო ორგანოში გასულ დეპუტატთა სიაში სქესთა შორის პროცენტული თანაფარდობა იქნება 2%-ზე ნაკლები. იმ შემთხვევაში, თუ საკანონმდებლო ორგანოში გასულ დეპუტატთა სიაში სქესთა შორის პროცენტული თანაფარდობა აღემატება 2%-ს, პარტიას სახელმწიფო დაფინანსებიდან დააკლდება კანონმდებლობით გათვალისწინებული დაფინანსების 25%-ი.

თავი III. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფო ორგანოთა უფლებები და მოვალეობები

მუხლი 14. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა საქართველოს პარლამენტის მიერ

1. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს გენდერულ სფეროში საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადებას, აღნიშნულთან მიმართებით პარლამენტის

გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და საქართველოს მთავრობაში შექმნილი მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობაზე კონტროლს.

2. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის შესაბამის მუდმივმოქმედ სამუშაო ჯგუფს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება პარლამენტის დადგენილებით.

მუხლი 15. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის მიერ

საქართველოს მთავრობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებისას გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვას და ხელს უწყობს მისი რეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნას;

ბ) სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში ამტკიცებს სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას გენდერული თანასწორობის პრინციპის საფუძველზე და მისი დაცვის მიზნით;

გ) გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად შეისწავლის და აანალიზებს მისი საქმიანობის სფეროში მოქმედ კანონმდებლობას და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს და წარადგენს საკანონმდებლო ინიციატივას გენდერული უთანასწორობის დაძლევის უზრუნველსაყოფად;

დ) სამთავრობო პროგრამაში ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებს და იმ ღონისძიებებს, რომელიც მიმართული იქნება გენდერული უთანასწორობის დაძლევისათვის;

ე) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ღონისძიებებსა და მათი დაფინანსების შესაძლებლობებს;

ვ) ახორციელებს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.

მუხლი 16. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა
გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის მიერ

1. მთავრობის მიერ გენდერული თანასწორობის საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობის, აღნიშნულ საკითხებზე მთავრობის საქმიანობის კოორდინაციის, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების და მონიტორინგის მიზნით პრეზიდენტის ბრძანებულებით იქმნება გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისია (ტექსტში შემდგომ - კომისია), რომლის შემადგენლობაში შედიან სამინისტროებისა და სხვა უწყებების თანამდებობის პირები.

2. კომისიის შემადგენლობა, ფუნქციები, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

3. კომისიის საქმიანობას თავმჯდომარეობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

4. კომისიის შემადგენლობიდან, კომისიის თავმჯდომარე ნიშნავს კომისიის პასუხისმგებელ მდივანს, რომელიც იმავდროულად არის კომისიის თანათავმჯდომარე და სარგებლობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით.

5. კომისია უფლებამოსილია:

ა) შეიმუშავოს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის თაობაზე სამოქმედო გეგმა;

ბ) განახორციელოს კანონმდებლობის ანალიზი და შეიმუშავოს წინადადებები კანონმდებლობაში არსებული გენდერული უთანასწორობის დაძლევის უზრუნველსაყოფად;

გ) უზრუნველყოს საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი საკანონმდებლო აქტების პროექტების ექსპერტიზა გენდერული თანასწორობის შეფასების თვალსაზრისით;

დ) შეიმუშაოს მიზნობრივი პროგრამები და დაგეგმოს ცალკეული ღონისძიებები გენდერული თანასწორობის მიღწევის, ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის;

ე) შეიმუშაოს და დანერგოს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის თაობაზე გატარებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, შეიმუშაოს რეკომენდაციები;

ვ) ნებისმიერი სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირისაგან გამოითხოვოს და მიიღოს გენდერული თანასწორობის საკითხის შესწავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, გარდა ისეთი დოკუმენტებისა, რომელთა კონფიდენციალურობა დაცულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ზ) განიხილოს გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე წარდგენილი განცხადებები, დოკუმენტაცია და სხვა ინფორმაცია, მოახდინოს მასზე რეაგირება მისი კომპეტენციის გათვალისწინებით და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები;

თ) გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას მოიწვიოს შესაბამის დარგში მომუშავე საერთაშორისო ან ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ან/და ექსპერტები;

ი) განახორციელოს კანონმდებლობითა და კომისიის დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

6. კომისია კოორდინაციასა და კონტროლს უწევს სამინისტროებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების საქმიანობას გენდერული თანასწორობის დაცვისა და განხორციელების სფეროში და საჭიროების შემთხვევაში აძლევს მათ რეკომენდაციებს გენდერული თანასწორობის დაცვის უზრუნველსაყოფად.

7. კომისია წელიწადში ერთხელ საქართველოს პრეზიდენტს, მთავრობას და პარლამენტს წარუდგინოს ანგარიშს საქართველოში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ. ანგარიშის მონაცემები უნდა აისახოს საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ მთავრობის მოხსენებაში.

8. სამთავრობო კომისია წარმოადგენს საქართველოს მთავრობას მთავრობათაშორის და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ამზადებს ანგარიშებს გენდერული თანასწორობის საკითხებზე საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე, რომლებსაც დასამტკიცებლად წარუდგენს მთავრობას.

9. კომისიის მუშაობაში, კომისიის თავმჯდომარე (თანადავჯდომარის) თავისი გადაწყვეტილებით, სათათბირო ხმის უფლებით იწვევს შესაბამის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს.

10. კომისიის მოწვევის თარიღი და კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხა საჯაროა და ქვეყნდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 17. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად შეიმუშავენ და ახორციელებენ ღონისძიებებს ადგილებზე გენდერული უთანასწორობის გამოვლენისა და დაძლევის უზრუნველსაყოფად, ადგილებზე მუნიციპალური ბიუჯეტების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების, მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების შემუშავებაში ითვალისწინებენ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და მათი დაცვის საკითხებს.

2. სახელმწიფო ორგანოები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში აღმოუჩენენ ორგანიზაციულ, საინფორმაციო და სხვა სახის დახმარებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მათ საქმიანობაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და დაცვის მიზნით.

მუხლი 18. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ

1. გენდერული თანასწორობის დაცვის, შესაბამისი სფეროს მონიტორინგისა და გენდერული თანასწორობის დარღვევაზე რეაგირებას თავისი კომპეტენციის შესაბამისად უზრუნველყოფს საქართველოს სახალხო დამცველი.

2. საქართველოს სახალხო დამცველი “სახალხო დამცველის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად:

ა) ზედამხედველობს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, ქალისა და მამაკაცის

თანასწორუფლებიანობის დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას;

ბ) ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის გენდერული თანასწორობის დაცვისა და სახელმწიფოს მიერ მისი უზრუნველყოფის მიზნით, ზედამხედველობს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში აწვდის მათ რეკომენდაციებსა და წინადადებებს;

გ) შეისწავლის გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის თაობაზე ამ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებისა და გამოყენების პრაქტიკას და საჭიროების შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს;

დ) უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს გენდერული თანასწორობის თაობაზე საქართველოს პარლამენტში შექმნილი მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისია მუშაობაში, სხდომაზე განსახილველად წარადგინოს საკითხები, მიაწოდოს შესაბამისი რეკომენდაციები და წინადადებები;

ე) პარლამენტში წარსადგენ ყოველწლიურ ანგარიშში ცალკე თავად ითვალისწინებს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის თაობაზე არსებულ მდგომარეობას;

ვ) იღებს და იხილავს პირთა განცხადებებსა და საჩივრებს გენდერული თანასწორობის დარღვევებთან დაკავშირებით და ახდენს მათზე კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეაგირებას;

ზ) ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის დაცვის მიზნით;

თ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის საჯაროობას;

ი) ახორციელებს “სახალხო დამცველის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებებს.

თავი IV. პასუხისმგებლობა გენდერული თანასწორობის დარღვევისათვის

მუხლი 19. გენდერული თანასწორუფლებიანობის დარღვევა

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობის პირები, ასევე კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები და სხვა პირები, რომლებიც დაარღვევენ ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას, პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი IV. გარდამავალი დებულებები

მუხლი 20. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები

1. საქართველოს მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისია შექმნა. საქართველოს მთავრობამ დადგენილი წესით კომისია უზრუნველყოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური საშუალებებით.

2. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში განახორციელონ მათი საქმიანობის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების ანალიზი და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიასთან შეთანხმებით განახორციელონ შესაბამისი ცვლილებები ნორმატიულ აქტებში არსებული გენდერული უთანასწორობის დაძლევის უზრუნველსაყოფად.

3. ამ კანონის ამოქმედებიდან 5 თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის წინადადებების გათვალისწინებით, დაამტკიცოს გენდერული თანასწორობის პრაქტიკული განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებათა გეგმა და გაითვალისწინოს გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების შესაძლებლობები.

4. ეთხოვოს საქართველოს მთავრობას 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გაითვალისწინოს ამ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო ასიგნებანი.

5. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე მუდმივმოქმედ სამუშაო ჯგუფის ფორმირება, მისი შემადგენლობის, სტატუსის, ფუნქციებისა და უფლებამოსილების განსაზღვრა.

6. ეთხოვოს საქართველოს მთავრობასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უზრუნველყონ მოსახლეობის ინფორმირება ამ კანონის ძირითადი პრინციპებისა და არსის შესახებ.

თავი V. დასკვნითი დებულებები

მუხლი 21. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა მე-20 მუხლისა, ამოქმედდეს 2009 წლის 1 სექტემბრიდან.

2. ამ კანონის მე-20 მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
სააკაშვილი

მიხეილ